მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის 2014 წლის № 030 ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „21“ მარტი, 2014 წელი

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებულმა, მისი ნაგებობათა ექსპლუატაციის ინჟინრის მერაბ ყიფიანის სახით, ერთის მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებულმა, მისი სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერის გიორგი ბაგინაშვილის სახით, მეორეს მხრივ, შევადგინეთ მიღება–ჩაბარების ეს აქტი მასზე, რომ მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა მომსახურება, გათვალისწინებული მხარეთა შორის 2014 წლის 17 მარტს გაფორმებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის № 030 ხელშეკრულებით.

ჩაბარებული და მიღებულია შემდეგი მომსახურება:

1) მომზადებულია შემსყიდველის ნინოწმინდის რეგიონული სასწავლო ცენტრის შენობის (ქ. ნინოწმინდა, ტერიანის ქუჩა, 9) წყალსადენ–წყალარინების გარე ქსელების პროექტი.

2) პროექტის მიხედვით შედგენილია შემსყიდველის ნინოწმინდის რეგიონული სასწავლო ცენტრის შენობის (ქ. ნინოწმინდა, ტერიანის ქუჩა, 9) წყალსადენ–წყალარინების გარე ქსელების მოწყობის სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოთა ჩამონათვალს, განზომილებას, რაოდენობას, გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მასალების, მათი ტრანსპორტირების ღირებულებას, შრომის ანაზღაურებას, ზედნადებ ხარჯებს, გეგმიურ დაგროვებასა და დამატებული ღირებულების გადასახადს როგორც ცალ–ცალკე, ასევე – ჯამურად.

მომსახურების შედეგი შემსყიდველს გადაეცა ნაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად, აკინძული ალბომად თავფურცლით, დამოწმებული მიმწოდებლის ხელმოწერით.

მომსახურება რაოდენობითა და ხარისხით შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 212852055

ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. (431) 23 26 00

კონტროლის კოორდინატორი

მერაბ ყიფიანი

„მიმწოდებელი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპნია“

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 412670097

თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ., 76ბ

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერი

გიორგი ბაგინაშვილი